სახალხო გაზეთი

№ 152 კვირა, 7 ნოემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 152

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე მეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამკლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 4 მ., საათის შემდეგ მეტი მოირება

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ-ბის განცხადებათა ცენტრალურ განტორაში მოსკოვში, მიახნიდკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მოხსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—პირველ მოედანი

ზელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში, ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ზელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს, სულ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დ დი წერ[illegible] და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლებ[illegible] ველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საა[illegible] ნამუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კ[illegible]

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ[illegible]

ფოსტის ადრეს: Тифлисъ, Большая Ванкская [illegible] N 12, Семену Пашалашвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ეროვნულ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ძმები ზაქარია, გიორგი, ნიკოლოზ და ივანე სვამონის ძენი და ნინო შიოს ასული შვილებითურთ მესხიევები და სოფიო ამირეჯიბი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველნი—ძვირფასის ძმის, მეორე—მეუღლის და მესამენი—საყვარელ მამის და მეოთხე—სიძის

ალექსანდრე სვიმონის ძის მესხიევის

გარდაცვალებას. მიცვალებულს გამოასვენებენ კვირას, დილის 9 ს., საკუთარს სახლიდან ავჭალის ქუჩა № 11. კალოუბნის ეკლესიაში. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზედ. პანაშვიდი ყოველ საღამოს 6 საათზედ. (2—498—2)

დედა ტასია დავითის ასული, მეუღლე სალომე ესტატეს ასული შვილებითურთ, ნინო მიხეილის ასული და სიძე ალექსი საველის ძე ჩოხელი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ტრაგიკულად გარდაცვალებულის ქ. გორში მეტეხის მღვდლის

სტეფანე მიხეილის ძე ბაიდაშვილისას.

გამოსვენება კვირას, საკუთარ სახლიდან, იაზოვის ქ. № 24, დილის 10 საათზე; წირვა ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—204—1)

ტელეფონი № 862. ქართული თეატრი წარმოდგენა № 20.

კვირას, 7 ნოემბერს, 1910 წელს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

სამეგრელოს მთავარი ლევანი.

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად, ვ. ყიფიანისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: დავითაშვილი ნ., ვიქტორელი მ., ლეკავა ო., ლოლუა ა., ქილარჯიმვილი მ., მოთამე ა., ჯაგახიშვილი ნ. ბ-ნნ: ალექსი-მესხიშვილი ვლად., არადელი გ., ალექსიძე ა., გვარაძე ნ., ჟვიჟიძე ი., ზარდალიშვილი ი., მესხი გ., მდივანი ბ., მატარაძე გ., მგალობლიშვილი დ., მამფორია ი., ალექსიძე, მალიგაშვილი ვ., ციციშვილი ნ.

დასაწყისი სალამოს 8 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრ. საზოგადოება. რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

ადგილების ფასი: გალერეია 20—40 კ.-მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში მეგორდებისთვის 50 კ.

დამსწრეთა საყურადღებოდ: თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებენ, ამიტომ მეხამე ზარის შემდეგ ყველანი თავ-თავის ადგილზე უნდა იხსდნენ.

მზადდება წარმოსადგენად: „იმედის დადუმვა“, მისს გოს. (3—3)

სახალხო უნივერსიტეტი ძალაქის სახალხო სახლი

კ. ი. ზუბალაშვილის სახელოვნებისა.

კვირას 7 ნოემბერს, ნ. მ. სპილიოტი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

ფარაონთა ეგვიპტე

(ბუნდოვანის სურათებით)

ლექციის შემდეგ უფასო კონცერტი. ტრიო, შეასრ. პალტვის ოჯახოვა. დუეტი, შეასრ. ა. ბალამეზვაკინ და ქ. პალტვი. ტრიო, შეასრ. ქ-ნი დავიდოვისა, ბბ. გრებენსკი და ნასიბოვი. აკომპანიმენტი ბ. თ. ზეიფისა. ლექციის დასაწყისი დილის 11 საათზე. ბილეთები იყიდება შუადღის 12—2 საათამდე და საღამოს 6—8 ს-მდე.

ადგილების ფასები 5 კ. და 10 კ.

ბუნებრივი კახური

ღვინოები

კარდენახის საუკეთესო ზვრებიდან

ძმ. ხელაშვილებისა.

სარდაფი ნიკოლოზისა და ნეკრასოვის კუთხის სახლში NN 14 და 11. სარდაფში ინახება გარდა ახალისა ძველი, 6—7 წლის, დვინოებიც.

ბოთლი 25 კ.-დან 1 მანეთამდე.

(20—195—2) პატივისცემით—მოსე ხელაშვილი.

ტფილისის ქერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება

მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი საშშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვიქტელის“ სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის მეიძლება, დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოველ დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

ჯედგანიშვილი ზ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

ბურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი ვ. ვ. შინ., სამშ. და საბ. 10—12 ს.

ქაქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 12—2 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირბოდოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

ბაბოვი ვ. ა. ქურ., ყელის და ცხვი., ყოველ დღე 2—2-ნახ. ს.

სობოლევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოველ-დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც ეხელმძღვანელებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლიები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაციები, კონსულტაციები, ელექტრონით წვა., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა მომზადება და სხვა შეიძლებათ. საფასურით. (200—5.—319)

ვაგზლის ქერძო სამკურნალო

კარგად ეოველ დღე მოსაიარეადე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანეკიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაშაყაძე—ყოველ დღე 9—11 ს. ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.

ზ. ა. ბიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოველ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. ბ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. ძიძიგა—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოდოხოვი დ. ვ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით 2—4 ს.

ე. ვ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

(ზ.—5.—482)

მოითხოვეთ ახალი ჰაპიროსი

„ანფისა“

ფასი 15 ცალი 6 კაპ.

„ 25 „ 10 კაპ.

„მირის“ ფაბრიკისა.

მიუხედავად იაფი და ყველასათვის მისაწვდომ ფასებისა, პაპიროსი „ანფისა“ შემზადებულია მაღალ ხარისხოვან და გემოვნების თამბაქოსაგან.

მიაქციეთ ყურადღება საუკეთესო ხარისხს და გემოვნებას. (15—150—8)

გაფრთხილება

პაპიროსის „სიმპატია“-ს სახელი მოსვენებას არ აძლევს ჩვენს მეტოქეებს, რომელნიც მიმართავენ ხოლმე

—სიყალბეს,—

როგორც ერთი აქაური ფაბრიკა მოიქცა, რომელმაც ამერიკის ყოველგვარ რეკლამების შემდეგ, ამ დღეებში გამოუშვა ჩვენის ეტიკეტით და სახელით „სიმპატია“, ფასით 10 ცალი 6 კაპ. ეს პაპიროსი საოცრად ჰგავს ჩვენის პაპიროსის გარეგან სახეს და ფორმატს. ამიტომ

ნ. ი. ბოზარჯიანცი

შვილებით

სთხოვს პაპიროსის მომწევთ, ყურადღება მიაქციონ საფაბრიკო მარკას და გვარს

ნ. ი. ბოზარჯიანცი შვილებით

(5—167—4)

ეს ყალბი

ეს ყალბი

რ. ა. პოლუბოიარინოვისა

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან,

ოდესიდან და პეტერბურგიდან

დიდ ქალი

ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები,

იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

გაცმების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, სახდელი წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკომისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ზიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—32)

აზიური ბუფეტი მტკვარზე

მ. ბ. პირაპოზოვისა

ვოროგოცოვის ქუჩის პირდაპირ ტელ. N 103.

ყოველ-დღე სადილის დროს 2-დან 4 საათამდე და საღამოთი 9-დან ღამის 2 საათამდე უკრავს ახლად მოსული ინტერნაციონალური სიმებიანი ორკესტრი სოლო-კონცერტისტის ა. გ. ეგიაზარიანის ლოტბარობით. (10—163—10)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. (0—255)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვის სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 5½—6½ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი რ. დ. მაჭავარიანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ბაგინოვის ქუჩა N 7. (თ.—130—28)

ექიმი კბილისა ნინო რაცხილაძე იზმაილოვზე N 2. გადავიდა [illegible] ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოგოლევის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (ვ)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და გენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. გვირაბოვთან ავადმყოფებს არ იღებს. ბოსტანოვის ქ. N 4, სახლი [illegible] (ვ)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გორჩაკოვის ქ., № 9. (ვ)

ექიმი ზ. ნ. მაგაკიანი შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (ბაზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 288. (100—ზალ.—73)

ექიმი ჯ. ფ. ა. ი. ძ. ქუთაისში იყენებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვების ს. ა. ა. შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ-დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიკარაძისა. (თ.—128—5)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გამინკა და გადადგება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. 20 (0—5.—77)

ექიმი ე. ი. მინასიანცი. სწამლობს შინაგან, ბავშვ. და გენეს ავადმყოფებს; პროფესორ Mathieu-სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქუჩა N 39. (100—15)

კლასები

ფორტეპიანოსი

იოსებ გიორგის ძე

ტერ-დავიდოვისა

ტფილისი, ელისაბედის ქ. № 40.

(20—5.—20)

მასწავლებელი

ამზადებს შეგირდებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისათვის. ნახვა შეიძლება დილის 8—11 საათამდე და საღამოს 3—5 ს-მდე. მიხაილოვის ქ. № 144. (25—162—15)

◀ წიგნის გამომცემლობა ▶

„კულტურისაგან“

ნოე ჟორდანიას წიგნის მეეჭვდა დაიწყო ჩაბარება და სხვა, ისე შესრულდება, როგორც გამოცხადებული იყო. იმ აგენტებს, რომლებმაც ნისიად დარიგებული კვიტანციების ფულის შემოტანის ვადის გაგრძელება გვთხოვეს, ვადა მივეცით ამ თვის დასრულებამდის, მაგრამ აგენტებმა ამით არ უნდა ისარგებლონ და ყველა ფული თვის ბოლომდის არ უნდა გააჩერონ, თორემ გამომცემლობას გაუჭირდება თავის დროზედ წიგნის გამოცემა.

ვისაც უნდა წიგნი დაკაზმული მიიღოს, მშვენიერ ყდაში ოქროს ასოების წარწერით, ყდისთვის უნდა დაუმატოს 35 კაპ. ახლავე, რომ წიგნები დაიკაზმოს დროზე. სანიმუშოდ ყდები ეგზავნება ზოგიერთ აგენტებს. (3—191—2)

ტფილისი, 7 ნოემბერი

საკრედიტო და გამსაღებელი ამხანაგობანი. ჩვენს ქვეყანაში მძიმე-მძიმედ, მაგრამ მაინც ფეხს იკიდებს საკოოპერაციო მოძრაობა. სხვა პირობების გარდა ამ მოძრაობის განვითარებას თვალსაჩინოდ უწყობს ხელს ის გარემოება, რომ სახელმწიფო ბანკი ახლად დაარსებულ კოოპერაციებს იაფფასიან კრედიტს უხსნის. ეტყვს გარეშეა, კოოპერაციების საქიროება ცხოვრების კალოზეა მომწიფებული, მაგრამ მეტად დიდი და რთული საკითხია, რა ტიპის კოოპერაცია უფრო შეეფერება ჩვენს პირობებს.

ჩვენს მკითხველს ეცოდინება, რომ დღემდე მარტო ოდენ საკრედიტო კოოპერაციები ანუ ამხანაგობანი არსებობენ კავკასიაში. ეგრამ ამ ფაქტიდან არ შეიძლება დავასკვნათ, ვითომც მხოლოდ ამ ტიპის ორგანიზაცია შეეგუებოდეს ცხოვრებას, ვითომც იგი ბუნებრივის აუცილებლობით იყოს გამოწვეული არსებულ პირობებისაგან. კოოპერაციების მოწყობას კავკასიაში წინ უძღოდა მთავრობის გადაწყვეტილება, საკრედიტო ამხანაგობათათვის ჭფარველობა კეთია, გაეადვილებინა წესი ამ ამხანაგობათა დაკანონებისა და საგანგებო მოხელე გაეჩინა ხალხში თანასნობის შესატანად. ეს შეღავათი, რომელსაც საკრედიტო ამხანაგობათა დაეარსებელთ აძლევს მთავრობა, შეუძლებელია გავლენას არ ახდენდეს მცხოვრებლებზე. საკრედიტო ამხანაგობის პრივილეგიური მდგომარეობა ერთ-ერთი უძლიერესი მოტივია სწორედ ამ ტიპის ამხანაგობათა დაარსებისთვის, და ძნელი საფიქრებელია, რომ უამპრივილეგიოდაც სწორედ საკრედიტო ამხანაგობანი გაიწევდნენ წინ.

საკრედიტო ამხანაგობათა სარგებლობას ჩვენ არც უარვყოფთ, არც საეჭვოდ ვაცხადებთ. პირიქით, ჩვენის ღრმა რწმენით ამ ამხანაგობათ დიდი სარგებლობა შეუძლიანთ მოუტანონ ხალხს, მაგრამ ამასთანავე ვფიქრობთ, რომ მარტო ოდენ საკრედიტო ამხანაგობებზე გულისყურის შეჩერება შესაწყარებელი არ არის. საკრედიტო ამხანაგობის პირდაპირი დანიშნულებაა ბრძოლა მეავხშეობის წინააღმდეგ. ვისაც საქართველოს სოფლებში უცხოვრია და უნახავს რა მძიმე პირობებით სესხულობს გაპირების დროს წვრილი მეურნე ფულს მეავხშეებისა და ჩარჩებისაგან, იმისთვის თავის თავად ცხადია, რომ საკრედიტო ამხანაგობიდან შელავთიან პირობებით სესხის გამოტანა სოფლის მშრომელ მეურნეებისთვის დიდი ბედნიერებაა. ხშირად და მრავლად შეგხვდებათ საქართველოს სოფლებში ისეთი გლეხი, რომელიც მთელის ათის წლობის განმავლობაში იხდის მეავხშის ვალს, მაგრამ თავი ვალი არ კი მცირდება, პირიქით იზრდება კიდეც. მეავხშეობასთან ბრძოლისთვის საკრედიტო ამხანაგობა ზედგამოჭრილი საშუალებაა, მაგრამ სასოფლო სამეურნეო კოოპერაციების დანიშნულება მარტო ოდენ საავხშო კაპიტალთან ბრძოლა არ არის. როგორც ევროპის დაწინაურებულ ქვეყნების მაგალითი გვიჩვენებს, კოოპერაციების განვითარებას რამდენისამე წლის განმავლობაში ძალუძს სულ ერთიან შესცვალოს სასოფლო მეურნეობის სახე და მიწასთან გასწორებული მშრომელი ხალხი ეკონომიურად აღორძინოს და გამდიდროს. საჭიროა მხოლოდ საკოოპერაციო ორგანიზაციების წესიერი მოწყობა და ადგილობრივ პირობებთან შეგუება.

სოფლის წვრილი მეურნე ეკონომიურად დაბეჩავებულია არა მარტო საავხშო კაპიტალისაგან, არამედ უფრო მეტად საჩარჩო კაპიტალისაგან. ჩარჩი ჩვეულებრივ სარგებლობს სოფლის მწარმოებლის ხელმოკლეობით და იმის შრომის ნაყოფს ისე იაფად ყიდულობს ბაზარზე გასატანად, რომ ხშირად მეურნეობა პირდაპირ საზარალო საქმეს ჰგავს. შორს რომ არ წავიდეთ, გავიხედოთ გორის მაზრის სოფლებისკენ. იქ წელს საკმაოდ კარგი ხილის მოსავალი იყო, მაგრამ თუ გგონიათ რომ ამის გამო სოფლის წვრილი მეურნეები ოდნავ მაინც გასწორდნენ წელში, ძალიან სცდებით. გორის მაზრაში ხილის მწარმოებელმა თავისი საქონელი, როგორც ყოველთვის, წელსაც ადგილობრივევე გაყიდეს ფუთი ათ შაურად, ორ აბაზად და ზოგან სამ საშუარად. მსყიდველები ჩარჩები იყვნენ, რომელნიც ასე იაფად ნაყიდს ხილს ტფილისში გირავნქას ორ შაურად და სამ შაურად ასაღებენ. თავის-თავად ცხადია, რომ ასეთ პირობებში ხილის კარგი მოსავალი სასარგებლო აღმოჩნდა არა მწარმოებელ მეურნეებისთვის, არამედ ჩარჩებისთვის. გორის მაზრა მხოლოდ მაგალითისთვის დავასახელეთ; ნამდვილად საქართველოს ყველა ნაწილებში ამ გვარივე ამბავი ჰხდება. მხოლოდ იმიტომ რომ თითოეულ მეურნეს არ შეუძლიან თავის საკუთარ ძალღონით პირდაპირ მომხმარებელთა ბაზარზე გაიტანოს თავისი ნაწარმოები, იგი იძულებულია დაემორჩილოს ჩარჩების მაზანდას, ერთი ათად და ერთი ოცად ნაკლებ ფასებში გაჰყიდოს თავისი საქონელი, თითონ ხშირად გაწეულ შრომის ფასიც ვერ აიღოს, ხოლო ჩარჩებს კი მთელი სარგებლობა ხელში ჩაუგდოს. ჩარჩი უბრალო შუამავალია, მწარმოებლის და მომხმარებლის შუა ჩაჩხირული ორთავეს საზარალოდ. შუამავლობას ჩარჩი იმ დროამდე გასწევს, ვიდრე მწარმოებელი და მომხმარებელი პირისპირ არ შეჰვდებიან ერთმანეთს ბაზარზე. ჩარჩების შუამავლობის ასაკვეთად მხოლოდ ერთი საშუალებაა: მწარმოებლების შეამხანაგება (და საერთო ძალღონით და მეცადინეობით პირდაპირ ბაზარზე დამზადებულ სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების გამოტანა. ამგვარი ამხანაგობა სამეურნეო ნაწარმოების გასასაღებლად არსებითად განსხვავდება საკრედიტო ამხანაგობისაგან, თუმცა საბოლოოდ ორივე ერთს მიზანს ემსახურება.

თანამედროვე ეკონომიურ პირობებში, როცა სავაჭრო კრედიტი ფართოდ არის განვითარებული, ჩვეულებრივ ვაჭრებს ისე არაფერი არ აწუხებს, როგორც მუშტრის მიზიდვა და ბაზრის დაპყრობა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ მწარმოებელთა გამაღლებელი ამხანაგობა ყოველთვის უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება, ვიდრე თითოეული ვაჭარი ან ვაჭართა ამხანაგობა. ადვილი გასაგებია, რატომ. ვაჭარი მომხმარებელს ისევე ურცხვად ჰფცქვნის, როგორც მწარმოებელს. ამიტომ გაჩნდება თუ არა ბაზარზე მწარმოებელთა ამხანაგობა, რომელიც ვაჭრების უშუალოდ დაიწყებს მომხმარებლებისათვის სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების მიწოდებას, უმალ აუარებელი მუ-

შტარი გაუჩნდება. მომხმარებელი ერთის მხრივ დარწმუნებულია, რომ მწარმოებლისგან საქონელს უფრო იაფად იყიდის, ვიდრე ვაჭრისაგან; მეორეს მხრივ კი კარგად იცის, რომ იყიდის ბუნებრივ ნაწარმოებს და არა ფალსიფიკატორებისაგან ყალბად და თვალთმაქცურად შემზადებულ საქონელს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ კახეთის მევენახეთა ამხანაგობა. ამ ამხანაგობას, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მწარმოებელთა ამხანაგობაა, იმდენი მუშტარი აწყდება, რომ ვერც კი ასწრობს ყველას დაკმაყოფილებას, ვაჭრების სარდაფები კი ძლივს ჰლაფავენ სულსა. კახეთის მევენახეთა ამხანაგობამ მეტად ღრმა ცვლილება მოახდინა ერთის მხრივ ღვინის ვაჭრობაში, მეორეს მხრივ მევენახეობის განვითარებაში თელავისა და სიღნაღის მაზრაში. ტფილისში წინად ბუნებრივ კახურ ღვინის შოვნა თითქმის შეუძლებელი იყო, დღეს კი ტფილისის ღვინის ბაზარი კახურ ღვინით არის სავსე. კახეთში ღვინის ფასები ისე იყო დაკემული, რომ მევენახეობაზე ხალხი ხელის აღებას აპირებდა, ეხლა კი იქ ყველა იმის ცდაშია, რომ ვაზის კულტურა უმწვერვალესს ხარისხამდე აამაღლოს. კახეთის მევენახეთა შეამხანაგება იმ აზრით, რომ ვაჭრების უშუამავლოდ გამოეტანათ ბაზარზე თავისი ღვინო, სასარგებლო აღმოჩნდა მწარმოებლისათვისაც და მომხმარებლისათვისაც. ასეთსავე ნაყოფს მოიტანს სოფლის მეურნეთა შეამხანაგება სხვა თავის ნაწარმოების გასასაღებლად ვაჭრების უშუამავლოდ პირდაპირ მომხმარებლებზე.

ჩვენის ფიქრით, ქართულ სოფლის ეკონომიური მდგომარეობა მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა გამსაღებელ ამხანაგობათა დაარსებას. საკრედიტო ამხანაგობებს აუცილებლივ გვერდში უნდა ამოუდგნენ გამსაღებელი ამხანაგობანი. მაი სხვა და სხვა ასპარეზი აქვთ სამოქმედოთ, მაგრამ სოფლის ეკონომიურ აღორძინებისათვის კი ორთავე ტიპის ამხანაგობა უნდა განვითარდეს.

სიტყვა-კაზმული მწერლობა

ჩვენი სიტყვა-კაზმული მწერლობა ძლიერ დაქვეითებულია. ამ უკანასკნელ ხანებში მცირედი განცხოველება დაეტყო ლირიკულ პოეზიას და დრამატიულ ლიტერატურას. ლირიკულ პოეზიაში აშკარად გამოვლინდა ორი მიმართულება. ერთი მიმართულება დახასიათდება რაციონალურის სასიათით და მოქალაქობრივის მოტივებით. მეორე მიმართულება კი არსებითად ირაციონალური და თითქმის მისტიკურია. მისგან სქესობრივ გრძნობელობის ბეჭედი აკრავს. ერთ ჯგუფის პოეტებს აღფრთოვანებს კონკრეტული სინამდვილის გამშვენიერების აზრი, მეორენი. გაურბიან ამ კონკრეტული სინამდვილეს და ოცნების სამეფოს ძებნაში არიან. ამ ორ მიმართულების შესწავლა და დაფასება სალიტერატურო კრიტიკისთვის ფრიად საყურადღებო საგანია. ხოლო ამ საგანზე ჩვენ ამ ჟამად არ შევჩერდებით, რადგან გვაინტერესებს სხვა საკითხი, სახელდობრ, ის, თუ რატომ რჩება განუვითარებელი და თითქმის ერთ წერტილზე გაშეშებული ქართული ბელეტრისტიკა, მოთხრობა და რომანი?

დრამატიულ ლიტერატურას გაცილებით მეტი კავშირი აქვს ბელეტრისტიკასთან, ვიდრე ლირიკულ პოეზიას. დრამატურგი მოქმედების სულიერ განცდის ერთ მომენტის დახასიათებით და გამოსახვით ვერ დასჯერდება. ლირიკული პოეტი კი, უმეტეს შემთხვევაში, გრძნობის ერთ მომენტით ღელდება და ფრთოსან მისწრაფებით იმსჭვალება. დრამატიული ნაწარმოები —ცხოვრებაა, საბგდისწერო ტრაგიზმით შებორკილი. ასპარეზია შეხლა-შეკავშირებისა მომქმედ-პირთა, ცილებლობის კანონის მორჩილთა აუმოთხრობა და რომანი იგივე ცხოვრებაა მისი პლასტიკურის და ტრაგიკულის სახითა. და თუ მართლა განვითარდა და მომწიფდა ჩვენში დრამატიული ლიტერატურა, იმ მომწიფებას აუცილებლივ უნდა მოჰყვეს ბელეტრისტულ ნაწარმოებთა გაშლა-გაფურჩქვნაც. მაგრამ ჯერ ნაადრევია ამ გაფურჩქვნაზე ლაპარაკი. სიტყვა-კაზმულ მწერლობის დაქვეითების მიზეზები ეტად ღრმა და რთული მიზეზებია. და სანამ ამ მიზეზებს ადგილი აქვთ ჩვენს ცხოვრებაში, დიდი იმედები არ უნდა გვქონდეს სიტყვა-კაზმულ ლიტერატურის აღორძინებისა.

ამ ორი წლის წინდ ბევრი რამ საყურადღებო დაიწერა ამ საგნის შესახებ. სხვა დამაბრკოლებელ და შემაფერხებელ მოვლენებთან ერთად ჩვენი ცხოვრების დენაციონალიზაციზედაც იყო მიპყრობილი ყურადღება და ამ დენაციონალიზაციას უკავშირებდნენ სიტყვა-კაზმულ მწერლობის დაქვეითების საქმეს. ყველა ამაში და სხვაშიაც, რაც ითქვა, ბევრი რამ იყო მართალი და უტყუარი. ხოლო, რამდენადაც მახსოვს, მაშინ ერთ გარემოებისთვის არ მიუქცევიათ ყურადღება. არ იყო აღნიშნული ენის ზედმიწევნითი მნიშვნელობა სამხატვრო შემოქმედების პროცესისათვის. აქ მხედველობაში იმდენად მხატვარი—ბელეტრისტი არა მყავს, რამდენადაც ის ტიპი და სახე, რომლის დახატვა-ხატება სწადია მხატვარს. არ იყო მიქცეული ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ჩვენი განათლებული წრეები სამხატვრო შემოქმედებისათვის მასალას არ იძლევიან, რადგან ამ წრეებში აღარ არის ის ორგანო, რომლის შემწეობითაც შეიძლება ჩახედვა ადამიანის სულში, აღარ არის ადამიანის აზრის და ფსიხიურ შემოქმედების გამომსახველი ორგანო—ენა. მართალია, ვინც ასახელებდა ლიტერატურის დაქვეითების მიზეზად დენაციონალიზაციას, იმას მხედველობაში, რასაკვირველია, ეს გარემოებაც ექნებოდა მიღებული, მაგრამ ზედმიწევნით ეს საგანი გარკვეული არ იყო. არ იყო განმარტებული, რა კავშირი აქვს ენას აზროვნებასთან და საზოგადო ფსიხიურ შემოქმედებასთან და რა ადგილი უჭირავს სიტყვას ადამიანის ფსიხიურ საიდუმლო ბუნების შესწავლა-აღმოჩენაში.

ალბად მიგიქცევიათ ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ქართულ ახალ ლიტერატურაში (მე-XIX საუკუნის ლიტერატურაში) ქართულ მოთხრობასა და რომანში მომქმედნი პირნი უმეტესად ხალხის ცხოვრებიდამ აღებული პირებია. და თუ მხატვარი გვიხატავს სხვა ცხოვრებასაც, იგი არა სცილდება იმ წრეებს, სადაც „ქართველობა“ ჯერ კიდევ მკვიდრად არის დაცული. (კაცია-ადამიანი, გ. ერისთავის კომედიები ისტორიული მოთხრობა და დრამა და სხვა). მიგიქცევიათ ალბად ყურადღება იმაზედაც, რომ ჩვენი მოთხრობის და რომანის გინდ პოემის გმირი ქალები—ოთარაანთ ქვრივი, მაყვალა, „განდეგილის“ მწყემსი ქალი, ვაჟას ეთერი და სხვანი. ყველანი ხალხის შვილებია და ყველა ამ პირებს ფორმა და შინაარსი, აზრი და ენა, ასე ვსთქვათ, ერთ არსად აქვთ გადაქცეული. გარდა მოთხრობებისა და რომანებისა ჩვენში, მართალია, გაცილებით მეტი ესკიზი და ეტიუდი დაიწერა და ამ პატარა ნაწარმოებში ხშირად ინტელიგენტურ სულის-კვეთების და სურათების ცდილობდნენ მწერლები, მაგრამ აქ შეუძლებელი იყო ფართოდ გადაშალა ცხოვრების სიავ-კარგისა, შეუძლებელი იყო აგრედვე ტიპების დასახვა და გარმოვეება, რადგან ესკიზი და ეტიუდი ცხოვრების ეპიზოდია და მასალაა მხოლოდ ვრცელ და მდიდარ შემოქმედებისთვის და ამ ესკიზ-ეტიუდებში კი ვერ ამოიწურებოდა მდიდარი შინაარსი ადამიანის ცხოვრების და სულიერ ვითარებისა. მოთხრობასა და რომანში ქართული ინტელიგენტური კლასები ჯერ ხნობით გამოსახულნი არ არიან. რამდენიმე უნიკოდ დაწერილი ამ ხასიათის თხზულება ჩასათვალავი არ არის.

რა არის ამისი მიზეზი? მთავარი მიზეზი, ჩემის აზრით, ის არის, რომ ინტელიგენტ წრეებში მხატვარი ვერ ხედავს იმას, რასაც უწოდებენ სახეს და ტიპს, განსაკუთრებით ვერ ხედავს ქალის სახეს და ტიპიურ ფიზიონომიას. დაევს იმიტომ, რომ აქ ადამიანის პიროვნება და სულიერი შემოქმედება სამშობლო ენის და სიტყვის საშუალებით აღარ ისახება და რომ ამიტომ არა სჩანს ამ პიროვნებაში ის, რაც ასე საჭიროა პოეტიურ შემოქმედებისათვის, არა სჩანს ორიგინალობა, ბუნება და ფორმის და შინაარსის გარმონიული შეთანხმება.

უნდა ვსთქვათ, რომ აზროვნების შემოქმედება და ენის შემოქმედება ერთი და იგივე არ არის. ნორჩი ბავშვი აზროვნობს, ენას კი მოკლებულია. ყრუ-მუნჯი სრულიად არ ლაპარაკობს. მათემატიკოსი ენას არ იშველიებს. მექანდაკეს და მუსიკის აზრი სიტყვაში არ ჯამოიხატება... ერთის სიტყვით, რაციონალური აზროვნების ფარგალი არ უდრის ენის შემოქმედების ფარგალს. პროფესორ პოტებნიას აზრით, ენა ჩასახულია „ინდივიდუალობის ირაციონალურ სიღრმეშია“. (იხ. Мысль и языкъ. Философія языка А. А. Потебни. Статья Андрея Бѣдого. Логосъ, международный ежегодникъ по фил. культуры, книга вторая, стр. 246). პოტებნიას განზრახვა იყო პიროვნების ირაციონალურ ფესვების გამოაშკარავება (выявленіе) სიტყვების შემოქმედების პროცესში. მას ნიცშესებური პრობლემა ჰქონდა წამოყენებული. ნიცშეს სწადდა ირაციონალურ ელემენტის აღმოჩენა ელინურს პლასტიკაში, აპოლონისებურში. პოტებნიას აზრი იყო ირაციონალურ ელემენტის გამოაშკარავება და აღმოჩენა რაციონალურად გამოთქმულ სიტყვაში (იქვე). ამ განმარტების ძალით, სიტყვას, ჩვეულებრივ მნიშვნელობასთან ერთად, პირველყოფილ-სტიქიური ელფერიცა აქვს. იგი ჯადოსებური—მომქმედი ძალაა (заклинательно—дѣйственная сила) და მასში, ჩვეულებრივ ენაშიაც კი, ისახება პიროვნების ირაციონალური სიღრმე. სიტყვაში თითქმის „მუსიკალურ შრიალის აზრი“ ისმის. (იქვე გვ. 251). სიტყვა იმიტომ არის აზრის ორგანო და აუცილებელი პირობა მსოფლიოს და საკუთარ „მეს“ გაგებისა, რომ იგი დასაწყისშივე სიმბოლოა და მას აქვს ყოველივე ოვისება მხატვრულ ნაწარმოებისა. (255). და ღრმა ნათესაობა სიტყვისა ადამიანის ირაციონალურ შემოქმედების ბუნებასთან სწორედ აქედან მოსჩანს. მითოლოგიური, რელიგიური და მხატვრული შემოქმედობა ყოველთვის სიმბოლიურია. ეს სიმბოლო აერთებს სიტყვას აღნიშნულ ირაციონალობასთან.

ენის და სიტყვის ამ ხასიათის განმარტების ფილოსოფიას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. ხოლო ამ მოწინააღმდეგეთა აზრს იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც მან გამოაშკარავა თავისი სისუსტე ენის შემოქმედების პროცესის გამორკვევის საქმეში. ენის შემოქმედება იმ ხასიათის საიდუმლოებაა, რა ხასიათის საიდუმლოებაც არის პოეტური შემოქმედების პროცესსი. პოეტური შემოქმედება არ სწარმოებს მსგავსად არითმეტიკულ ელემენტებისა მიმატება გამოკლებისა. ეს ორი ... ერთმანეთისგან, რომელიც აქვს მექანდაკეს და იმ მარმარილოსგან, რომელსაც ამუშავებს იგი. მისი ნაწარმოები აზრის და მარმარილოს შეერთება არ არის, არამედ რაღაც სხვა, რაც არ არის არც აზრსა არც მარმარილოში, ხოლო რაც ისახება მთელს ნაწარმოებში. აი ეს „რაღაც“ ვერ ვითარ რაციონალურის განმარტებით ვერ აიხსნება და ვერ განიმარტება. ენაშიაც ამგვარივე საიდუმლოებაა. სიტყვა თითქმის იარაღია ადამიანისათვის თავის თავის გაგებისათვის. და სიტყვაში მართლაც ისახება ის, რაც **გაიგო** ადამიანმა თავის თავზე. ხოლო ის, **რაც მან ვერ გაიგო**, რჩება სიტყვის გარედ. და ამგვარად სიტყვა მართლაც და სიმბოლოა მხოლოდ ადამიანის ირაციონალური ბუნებისა. და ამიტომ უფრო ნათელი ხდება ენის ნათესაობა პოეტურ შემოქმედებასთან.

ყველა ეს თუ მივიღეთ მხედველობაში, ადვილად გავიგებთ, თუ რატომ გაურბოდნენ ჩვენი საუკეთესო ბელეტრისტი—მხატვრები იმ წრეებს, სადაც სამშობლო ენა დამახინჯებული და დაუძლურებულია და რატომ სუსტი არის ხოლმე ყოველივე ნაწარმოები, სადაც ინტელიგენტური კლასებია გამოყვანილი. აქ დამალულია მხატვრისათვის ადამიანის პიროვნება, მისი სულიერი სიღრმე, მისი გამოუცნობი საიდუმლოება, რადგან აქ არ არის სიტყვა—სიმბოლო, ამ საიდუმლოების გამომაჟაშკარავებელი.

რომანის ძარღვს, ჩვეულებრივ, ადამიანის ენებათა და გრძნობათა ანალიზი, განსაკუთრებით, სიყვარულის ანალიზი შეადგენს. რომანს მოუხიბვლელობას ანიჭებს გმირი-ქალი, რომლითაც აღფრთოვანებულია ხოლმე მხატვარი—ბელეტრისტი. იგი გვიხატავს მის სულიერ ვითარებას, მიმზიდველ ძალას, სინაზეს, და მთელ არე-მარეს და სიცოცხლეს მშვენიერების სამკაულით რთავს და ჰმოსავს. რუსულმა რომანმა შეჰქმნა ქალთა თავისებურ ტიპების გალერეა. ტოლსტოის, ტურგენევის და დოსტოევსკის გმირ-ქალებს თავისი განსაკუთრებული ფიზიონომია აქვთ და ყოველ ქალს

ᲛᲔᲣᲠᲛᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ
(ᲒᲣᲫᲓᲕᲜᲘ ᲐᲚ. ᲙᲐᲕᲡᲐᲫᲔᲡ)

როგორ ძალიან დაბნელდა,
მთვარეც არა სჩანს ტიალი.
როდი ანათებს ბნელს ღამეს
ამ ჩემის ურმის ჭრიალი?!

—

არაგვში უნდა გავიდე,
ბობოქრობს, მოაქვს ლოდები!
ადევებულა და, რა ვქნა,
ხამი მიბია მოზვრები.

—

წმინდავ გიორგი! მიშველე,
ნურას შემამთხვევ ავსაო.
წვრილი მებრალვის ცოლ-შვილი,
თორემ არ ვზოგავ თავსაო;

—

ნუ აატირებ დედა-ჩემს,
იორამაანთ ქალსაო,
ხშირს თმას ნუ მოაჭრევინებ
ქალთამზეს ჩემსა დასაო.
თავს დამინებებს ბალღებსა
ცოლი,—გაჰყვება სხვასაო.

—

მოგივალ ღამის სათევლად,
სანთელს აგინთებ სამსაო.
ცისკარმაც ამოაშუქა,
კელაპტრად ეკვრის ცასაო.
თენდება, აღარა ბნელა,
კარგა გაიგნებთ გზისაო.
გაიწით, თქვენი ჭირიმე,
ჩემო შვინდავ და გიშელა,
გავედით სამშვიდობოსა,—
ეგ არი ღმერთმა გვიშველა!

—

გაიწით, ჩემო ხარებო,
თქვენ გენაცვალეთ ქედნია.
არც ერთს არ გაგცვლით სხვაზედა,
თუნდ ორი მომცენ ერთშია!

ᲒᲐᲯᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐ.

ᲗᲒᲐ

ᲐᲚᲤᲝᲜᲡ ᲓᲘ-ᲚᲐᲛᲐᲠᲢᲘᲜᲘᲡᲐ.
(ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘᲓᲐᲜ)

ახალ კიდეთკენ მარად მიმავალთ,
ასე ლტოლვილთა მუდმივს ღამეში,
ნუ თუ არ ძალ-გვიძს ჩავუშვათ ღუზი
საუკუნეთა ოკეანეში?
ოჰ ტბაო! ერთი წელი ძლივს არის
რაც ის გინახავს ამ ქვაზე მჯდარი
ნაჩვევ საყვარელ ტალღათა ახლოს,
სადაც მე მარტო ახლა ვარ მდგარი!
ასე ჰქუხდი შენ ამ კლდეთა ქვეშე,
ასევ მათ პობილ გვერდთ ასკდებოდი,
ასევ ქარისგან სროლილ ზვირთთ ქაფით
მის ძვირფას. ფეხებს ეპკურებოდი.
ერთს ღამეს, გახსოვს?—ნავში ვიხსენდით,
ცის ქვეშ სიჩუმეს არ-რა არღვევდა,
მხოლოდ მწყობრადა ნიჩაბთა მოსმა
შენს ჰარმონიულს ტალღებს არ-ხევდა.
უცებ მოესმა მოხიბლულს კიდეს
დედამიწისთვის უცნობი ხმები,
ტალღამ დაუგდო ყური, და სატრფომ
განუზიარა უცხო სიტყვები:
„ოჰ დროო, შენი ფრენა შესწყვიტე,
საათნო, ნუ ჰქრით მალის ფრთებითა,
ნუ გვიშლით დავსტკბეთ უმშვენიერეს
ჩვენის ღღეების სიტკბოებითა!
„ამ ქვეყნად ბევრი საწყალი გიწვევთ,
ეს ჩქარი რბენა იმათთვის იწყეთ,
მათს ღღესთან მათი ტანჯვაც წარიღეთ,
ბედნიერნი-კი სულ დაივიწყეთ!
„ამაოდ ვსთხოვ რამდენსამე წამს,
დრო მე გამირბის, არ მიჩერდება,
ვევედრი ღამეს: „ცოტა ნელ იყავ“,
და განთიადი შორს ელფერდება!
მაშ ჩვენ გვიყვარდეს! მფრენ დროთი დავსტკბეთ!
კაცს ნავთ სადგური არ აბადია,
და დროს არა აქვს სულაც ნაპირი,
ის მიმდინარებს, ჩვენ სვლა გვწადია!“
ხარბო დროვ, ნუ თუ ეს თრობის წამნი,
როს ტრფობის ზვირთნი გვესხურებიან,
ვითა დღეები უბედურების,
ისე სისწრაფით გაფრინდებიან?
ნუ თუ მის კვალსაც ვეღარ აღვნიშნავთ?
როგორ? სრულიად დაკარგულია?
არ დაგვიბრუნებს კვალად იგივ დრო,
რომლისგანაც ის მოცემულია?
მარადისობავ, არარაობავ,
ნამყოვ, უფსკრულო ბნელო, რომ ძალად
წაგვართვით დღენი, წამნი წარმტაცნი,—
არ დაგვიბრუნებთ აროდეს კვალად?
ოჰ ტბაო! ტყეო, მდუმარე კლდენო,
რომელთაც გზოგავთ დრო და განახლებთ,
იმ უცხო ღამის თქვენ სახსოვარი
დაიცვით მაინც, დროს ნუღარ ახლებთ!
დაე, ის ჰქონდეს, მშვენიერი ტბავ,
შენს ქარიშხალს და შენს სიწყნარესა,
შენს მოცინარეს კორდს და ნაძვებსა,
და შენსკენ დახრილს კლდეთა არესა!
დაე, ის ჰქონდეს მთრთოლავ ზეფირსა,
შენთ კიდეთ ურთერთს გამოძახილსა,
შენს ზედაპირსა რომ ასპეტაკებს,
იმ ვერცხლ-შუბლოვან მნათობს დახრილსა.
რომ შენის ჰავის სუნნელოვნებამ,
ზუზუნა ქარმა, ლერწამმა მარდად,
რაც ჰხედავს, ჰსუნთქავს ან რასაც ესმის,
ყველაფერმა სთქვას: „იმათ უყვარდათ!“

ᲛᲔᲚᲘᲢᲝᲜ ᲒᲝᲑᲔᲩᲘᲐ.

ᲗᲘᲗᲐᲒᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐ

„სანეტარო მყუდროება, რომ არავის დაერღვია, **დარაჯად მუნჯი დუმილი დაესვათ** და ამიტომ მთელი გარემო ყუჩდა, ჩუმობდა“ო,—გვეუბნებოდა ბ. ჭ. უმბაძე თავის „იდუმალი ძალა“-ში. მეც მინდა სწორედ მის წაკითხვის შემდეგ, ჩემს გარემოს, „დარაჯად მუნჯი დუმილი“ დაუყენო, მეც მინდა მცირე ხნით მაინც, სინამდვილეს, ქართულ სინამდვილეს ავსცილდე, მეც მინდა თავი მაღლა ავსწიო, მეც მინდა სანუგეშო, წყლულის დამამებელ მალამის ხელით დავსწვდე, ოცნებით მაინც მივწვდე მიუწვდომელს, სიზმრად მაინც ვნახო ცხადად უხილავი, ფანტაზიის ფართე, უსაზღვრო ძლიერებამ მაინც დაშალოს ზღუდე და საზღვარნი, გახიოს შავი სუდარა, რომელიც სამშობლოს გარს მჭიდროდ შემოჰკერია, და დავინახო საუცხოვო საყდარი, ყარიბ თლილის ქვისაგან აგებული, ნამდვილის ქართულ სახეებით ხლართული.

დიალ! მე მოვინდომე თავი იმ მთის წვერზე წარმომედგინა, რომელიც „თითქოს ვილაცას განგებ გადეკრა, გაევაკებინა“. მინდოდა უხილავ ძალას, ძლიერ გრძნობას, მშვენიერ ხატებას გავეტაცებინე იქითკენ, სადაც „ირგვლივ ზღაპრულ მდევებივით მოხვეულიყვნენ, შავ-ფაფარ აყრილი, უზარმაზარი მთები, რომელთა მწვერვალნი მთებით მოჭედილ ცის მკერდს ეხუტებოდნენ და მის გრძნეული სიტურფით მთვრალნი, ამოდ სთვლემდნენ, ოდნავ იშმუშნებოდნენ.“ მინდოდა თვალით მენახა ის ადგილი, სადაც „ოცნების ფრთასავით რბილ, სურნელოვან ბალახით აფოფინებული ჭალა კი, თითქოს შურის თვალით უცქეროდა ცისა და მთიების ბედნიერებას საკუთარ ნაქარგ გულ მკერდზე, ძილ-ღვიძრად მოპუტუნე ნაკადის პირით ამოდ ემუდარებოდა მათ (ცას და მთიებს), მინდოდა წარმომედგინა მაინც თუ როგორის სიტყვებით ემუდარებოდა იგი შეუბრალებელ, უზარმაზარ მთებს, როგორი იყო მუსიკა ამ მუდარისა, ხვეწნისა, რომელშიაც ჩაქსოვილია სიყვარულის დიადი გრძნობა. მინდოდა დიდხანს ჩამერჩინა მონებაში წყდიადის ძალა და მოქმედება, როდესაც მან „წამს დალამბა ნისლის მქრალი საბანი, გასწი-გამოსწია, გასჭიმა და ლურჯად აგრეულ მთებს ფრთხილად გადააფარა“. მსურდა... მაგრამ რომელი ერთი და ორი! განა შეიძლება ადამიანმა სურვილი შეზღუდოს, ფანტაზიას ფრთა შეაკვეცოს? შეიძლება დასძლიო დროებით რამდენიმე წუთით, მაგრამ იგი ისევ ამოჰყოფს თავს უკუნიდან, შემოგხედავს თვალებში, ჩაიცინებს და ეშმაკურად იქითკენ გაგაქანებს, საითკენაც მას ჰსურს.

დიალ! სურათი ხელოვნურად, ზედმიწევნით, სრულად დახატულია, მუსიკასავით მწყობრია, სიყვარულივით ტკბილი, კოკორ ვარდივით ნაზი, ყრმასავით ჩვილი, მშვენიერებასავით მიმზიდველი... მიგაფრენს სადღაც შორს შორს, იქითკენ სადაც სინამდვილე იდეალს უერთდება, იქითკენ სადაც ოცნება ხორცსხმულად ხდება, სადაც ბნელი ნათელისაგან ბრწყინდება, ცისკროვნდება, იქითკენ სადაც ერთის დასაწყისი სრულდება და მეორის ზრდა ისახება, სადაც იმედი ნუგეში, ეშვის გამჭრობი ნაყოფი ხარობს, და გეუბნება: „აჰა, ურწმუნო! ადამიანო! იწამე რომ ყოველ დაცემის დროს, აღსადგენი ნიშანიც ისახება, სიკვდილში სიცოცხლის ნიშანი აშკარა შესამჩნევი ხდება, სიბნელეში განთიადის რიჟრაჟის ფესვებია... მოიშორე თავიდან დროებით მაინც შენი კანი, „ნიავს მიეც ფიქრი შენი შავად მღელვარე“ და გაიცინე, გაიხარე, გამხიარულდი: დაუდგი შენ გულში მკვიდრი ტახტი რწმენას მომავალი-სადმი, რწმენას აღდგენისას განახლებისას. იწამე რომ მომავალი აწმყოს შვილია და რაც უნდა უნუგეშო, მძიმე, უფერული იყოს იგი, მასში მაინც არის მყობადის გამოსაჩევი ჯანმრთელი. ახალგაზდა, ქალწულებრივი ძალა, საღი ფესვები, ნაყოფიერი თესლი.

ასეთმა გრძნობებმა გამიტაცა, როცა სამშობლო ნიადაგს მოშორებულმა, უცხო ცივს მხარეში მყოფმა წავიკითხე ბ. უმბაძის „იდუმალი ძალა“. ბევრჯერ მოუყვანივარ ალტაცებაში გ. ორბელიანის „ბუმბერაზ მთათ მდუმარეთ“, რომელნიც „ცათამდი აყუდებულნი სხედან, ვით დევნი სპეტაკნი, ყინულ გვირგვინით შემკულნი“ ბევრჯერ წარმოიდგენია ოცნებით.

„წყალნი“ რთმელნიც „მთით დაქანებულნი, ალმასებრ უფსკრულს
| სცვივიან,
„თერგი რბის, თერგი ღრიალებს,
| კლდენი ბანს ეუბნებიან“

ბევრჯერ წარმომიდგენია ი. ჭავჭავაძის საუცხოვო ბუნების აღწერა, ყაზბეგის მშვენიერი, სილამაზეში განხორციელებული სურათე-

აქვს თავისი საკუთარი ენა, საკუთარი მანერა ლაპარაკისა, აზროვნებისა და ყოფისა.

რა პირობებში ამ შემთხვევაში ქართველი—ბელეტრისტი? რამ უნდა აღაფრთოვანოს, რამ გაიტაცოს, როდესაც იგი ირგვლივ ხედავს თვალთათვის სასიამოვნო ფორმას, შემკულ ჩარჩოს, ფაიფურის კოხტა ჭურჭელს და არ იცის, არ არის დარწმუნებული, სულდგმულია ეს ფაიფური და ეს შემკული ჩარჩო, თუ უსიცოცხლო და მკვდარია იგი. რა უნდა ჰქნას ამ მხატვარმა, როდესაც სულს აქ ვერა ხედავს, რადგან მის მიერ მოწონებული ქალი—გმირი დამუნჯებულია, ან კიდევ ისეთის ენით ლაპარაკობს, რომ სიცოცხლის ხალისს უსპობს და ფრთებს აკვეცებს მის აღფრთოვანებას. რანაირად აღმოაჩინოს პიროვნების გამოუცნობი და საიდუმლო მხარე, თუ კი ვერას გზით ვერ მიადგება ამ პიროვნებას და ვერც კი იგრძნობს, რა იმალება და რა ინახება მასში!

მართალია, არის ერთი გზა. გამოეხმაუროს მხატვარმა ამ პიროვნებას იმ ენით, რომლითაც მას უფრო ეხერხება აზრის და გრძნობის გაზიარება. ტოლსტოის „Война и Миръ“-ის პირველი გამოცემა ნახევრად ფრანგულად არის დაწერილი, რადგან რომანში გამოყვანილი საზოგადოების ენა ფრანგული ენა იყო. მაგრამ ამისათვის საჭიროა ორი რამ. ერთი ის, რომ ჩვენს საზოგადოებას და განსაკუთრებით განათლებულ წრის ქალებს ისე ჰქონდეთ შეთვისებული რუსული ენა, როგორც მე XXI საუკუნის დასაწყისში რუს—განათლებულ საზოგადოებას ჰქონდა შეთვისებული ფრანგული. ეს კი ასე არ არის. ჩვენებური რუსული საცოდავი რუსულია, იგი მჭრთალი, ფერადებს მოკლებული ენაა. მასში არ ისმის მეტყველება, სიცოცხლე და არა სჩანს მოძრაობა ნამდვილი რუსული სიტყვიერებისა. ეს ერთი, მეორეც ის, რომ ესთეტიური ინსტიკტის ძალით ტოლსტიმ, მართალია, ვერ გაბედა და რუსულად არ ალაპარაკა თავისი გმირები, რადგან საზოგადოებაში ისინი ფრანგულს ხმარობდნენ, ხოლო როდესაც შემდეგს გამოცემებში მთელი ტექსტი რუსულად დაიწერა, მხატვრობის მხრივ თხზულებას არა დააკლდა რა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ საქმე გვაქვსტოლსტოის ზომის და ღირსების ოდენა მხატვართან, რომლის შემოქმედება, მიუხედავად თავისი რუსულ ხასიათისა, ამავე დროს მსოფლიო ხასიათის შემოქმედებაა. და სად მოვნახოთ ჩვენში ამ ხასიათის მწერლები?

ენას უპირველესი მნიშვნელობა აქვს პოეტურ ნაწარმოებში. საზოგადოდ ნათარგმნ პოეზიას გაცილებით ნაკლები ეშხი და სილამაზე აქვს, ვიდრე ორგინალურს. წაკითხული გექნებათ ლერმონტოვ ყიფიანის ესკიზები ქართლის ცხოვრებიდამ. ყიფიანი რუსულად სწერს და მიუხედავად იმისა, რომ მას ნიჭი და ტემპერამენტი არ აკლია, მისი ესკიზები უსიცოცხლოა. გლეხებს რუსულად ალაპარაკებს და რუსულ სიტყვიერების ტერმინებში უნდა წარმოიდგინოთ ქართლის სოფელი და მისი მცხოვრებთა ავ-კარგი. შთაბეჭდილება ისეთი გრჩებათ, თითქოს რომელიმე გაზეთის დამატებაში წაგიკითხოთ ბრაზილიელთა ცხოვრების უხეირო აღწერა. აქ ისახება დისონანსი ფორმისა და კოლორიტისა ფსიხიურ შემოქმედებასთან.

ინტელიგენტიურ წრეებში მხატვარი—ბელეტრისტი ვერ ჰპოვებს შემოქმედებისათვის საჭირო მასალას, იგი იძულებულია ხალხის ცხოვრების ფარგალში იტრიალოს. თუ თვით ცხოვრება, არ ამოძრავებს ბელეტრისტს, მისი ნიჭი ხშირად მიძინებულია. ხალხის ცხოვრება ერთ ხასიათისაა და ცალმხრივი, ხალხი მოკლებულია ფაქიზ-კულტურას. ესტეტიკური, ფილოსოფიური და რელიგიური მისწრაფებანი განუვითარებელი რჩება ხალხში. ინტელიგენციამ კი უჩინ-მაჩინის ქუდი წაიხურა და ქართულ მხატვარ-ბელეტრისტს საშუალება წაართვა ეროვნულ და მხატვრულ ფორმებში განვითარებინა ის, რაც მის სულის სიღრმეს და საფასურს შეადგენს. აქედამ გამომდინარეობს სისუსტე როგორც ფორმის მხრივ ისე შინაარსის მხრივ ქართულ მოთხრობა—რომანისა. და აქედანაც სჩანს იშკარად, რომ თუ ძირითადი იოციალ-პოლიტიკური ცვლილება რა მოხდა ჩვენს საზოგადოებაში, საეკვო გახდება გამობრუნება და ფეხზე დაყენეა სიკვდილის პირამდე მიმდგარ სიტყვაკაზმულ მწერლობისა.

არჩილ ჯორჯაძე.

ბი, მიგრძვნია უსაზღვრო ესთეტიური კმაყოფილება და ალაც „იდუმალმა ძალამ“ იგივე შთაბეჭდილება, იგივე კმაყოფილება, იგივე გრძნობა აღმიძვრა. გამიტაცა ისე, ვით დიადის ნიჭის მხატვრისაგან დახუტულმა სურათმა, თვალწინ წარმომიდგა საუცხოო, სანეტარო, სიზმარეთი, რომელიც ლამაზ ქართულ სიტყვებში გაუხვევია ახალგაზდა ავტორს. მას შემდეგ რაც რუსთველმა „ვეფხის ტყაოსანი“ უმწიკვლო, უნაკლული ფორმასა და სახეში ჩამოასხა, ორბელიანმა, ჭავჭავაძემ, ბარათაშვილმა, აქაკიმ, ყაზბეგმა თავიანთი ბუმბერაზული სული ბუმბერაზ მთათა და „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტოვან“ არემარეს გასულდგმულებას მოახმარეს და საოცნებო მშვენიერების სახით მოგვივლინეს,—დღეს პირველად მესმის ისეთივე ხმა ისეთივე მუსიკა, დღეს პირველად ვხედავ ბუნების განცოცხლებას, სულის ჩადგმას.

მე არ ვსწერ არც რეცენზიას, არც კრიტიკულს განხილვას „იდუმალ ძალისას“. მე მხოლოდ აღტაცებით შევსცქერი სიყვარულით შექმნილ ნაყოფს, განვიცდი ფაქიზის გრძნობით გამოსახულ სურათის დიად გავლენას.

ყოველივე დიადი რამ, მშვენიერი „ნაზი, ციურის ფერით განსასიერებული, ქალწულებრივის მორცხვობით, ბავშურის უმანკოებით, სათნოებით გასხივოსნებული სახე ქმნილება ადამიანის სულსა და გულს, გონებასა და აზრს დაატყვევებს, შეჰბოჭავს და გასაქან იდგილს არ მისცემს. მისთვის მაშინ არ არსებობს არაფერი და არავინ, გარდა სილამაზისა. მაშინ მას ეკარგება უნარი ავი კარგისაგან გაარჩიოს, ე. ი. რამეს კრიტიკულად შეხედოს აღფრთოვანება კრიტიკასთან, კეთილგონიერებასთან ერთად ვერ მოთავსდება, რადგან პირველს ადგილი ოცნებაში აქვს და მეორეს კი რეალურ ურთიერთობასთან.

მეც მინდა აღფრთვანების ძალა რამდენიმე წუთს მაინც შევინახო, არ მინდა მას გონების მშრალი ცივი იარაღი შევახო და ჰარმონია, ჰარმონია სულისა დავარღვიო, დავამსხვრიო.

მე მინდა ვუყურო სილამაზეს მანამდი, სანამ თვალთ შერჩენიათ ხედვის უნარი. სილამაზე თავისთავად ადღლია, სილამაზე სიტყვაში გამოხატული შემოქმედებაა, სილამაზე დაუფასებელი ღირებულებაა, აუცილებელი იარაღი და საშუალება ბედნიერებისათვის. და დღევანდელ დამახინჯებულ პირობებში დღევანდელ კუზიან, ბრუციან, კოჭლ ცხოვრებაში სილამაზის მოვლენა ახალი სხივია, ახალი იმედია და ნუგეში.

დიალ! ასეთი აზრი დამიბადა „იდუმალმა ძალა“-მ. „იდუმალი ძალა“, იდუმალი ხმა მეუბნება: რუსთაველის ენა არ მოისპობა, იგი იმალება გადაუგვარებელ ქართველის გულში, იგი იქ ნაპერწკალივით ღვივის და როცა სუსტი სიოც კი დაჰბერავს ალიგზნება ცეცხლად, ნორჩი ყვავილი გადაირღვება იავარდად და არემარეს ფერი ეცვლება.

სალამი, მეგობარო! გიძღვნი მადლობას იმ სიამოვნებისათვის, რომელიც ცოტა ხნით მაინც მოუვლინე ეჭვებით მოცულ აზრს და მწუხარებით შეკუმშულ გულს. მრწამს, რომ ასეთი დასაწყისი შესაფერ შედეგის საფუძველია, და უკეთესი მომავალის უტყუარი თავდები-კი ყოველთვის პირველი ნაბიჯია. გრწამდეს, რომ jvie die Arbeit, so der lohu *).

შოთა დადიანი.

პეტერბურგი. 26 ოქტომბერი.

*) როგორიც მრწამა, ისეთი ჯილდო.

სახელმწიფო სათათბირო

გუჩკოვი თავმჯდომარეობს. საკოლო კანონ-პროექტის **მე-13 მუხლს** იხილავენ. ეს მუხლი ამბობს, რომ მე-12 მუხლში მოხსენებულ საგნების გარდა, პირველ-დაწყებით სკოლებში შეიძლება ისწავლებოდეს ხელ-საქმე, ხელოსნობა, მეჯახეობა და მეურნეობის დარგები ადგილობრივ პირობების მიხედვით.

კრივცოვისა, ედანოვისა, იანშუკევიჩისა, რეშკოვისა და ბულატის კამათის შემდეგ, ამ მუხლს კომისიის რედაქციით იღებენ.

მე-14 მუხლს იხილავენ. ეს მუხლი სამღვთო სჯულის სწავლებას ეხება.

ტიჩინინი ამ საკითხის გადაწყვეტას სამასწავლო საბჭოს უქვემდებარებს.

ბულატის აზრით ეს საკითხი სამინისტრომ კი არა, ადგილობრივმა თვით-მმართველობამ უნდა განიხილოს და გადასწყვიტოს.

ვორონკოვი კადეტა შესწორებას იცავს და ამბობს, რომ სკოლის პროგრამა მისმა დამაარსებლებმა უნდა შეიმუშაონ.

ბელოუსოვი. სოციალ-დემოკრატების შესწორებას იცავს, რომელიც მოითხოვს, რომ სასკოლო პროგრამა რაც შეიძლება ფართედ იყოს შემუშავებული და საკანონმდებლო გზით დამტკიცებული.

ეპისკოპოს ევლოგს შესწორება შეაქვს, რომ სამღთო სჯულის პროგრამა სინოდმა და განათლების სამინისტრომ ერთად შეიმუშაონ.

მომხსენებელი კოვალევსკი თანახმაა მისის შესწორებისა, მხოლოდ ამბობს, რომ სამღვთო სჯულის პროგრამა განათლების სამინისტრომ უნდა 'მეიმუშაოს სინოდთან შეთანხმებითაო. მე-15 მუხლს. კომისიის რედაქციით იღებენ.

თავმჯდომარის ადგილს კაპუსტინი იჭერს. მე-16 და მე 18 მუხლებს იხილავენ. ეს მუხლი ეხება იმას, თუ სწავლება რომლის ენაზე უნდა სწარმოებდეს.

მომხსენებელი კოვალევსკი სახელმწიფო ენის მომხრეა (აქ დეპეშა არეულია)... იგი კომისიის აზრს ესარჩლება და სათათბიროს აფრთხილებს,—სახიფათო პოლიტიკურ კამათს ერიდეთ ასეთ რთულსა და სამძიმო საკითხის გარჩევის დროს, როგორც სწავლების ენაა.

ბარონი ფელკერზამი პოდკალნისა და ტერრისის მიერ გამოთქმულ აზრს ეწინააღმდეგება, ვითომც ბალტიის მხარეში პირველ დაწყებითი სკოლა გაგერმანელებულიყოს. ორატორი ამბობს, რომ რადგანაც ადგილობრივი სკოლები იქ ადგილობრივ თავადაზნაურობის ხარჯით არსებობს, ქალაქებში გერმანულად უნდა ისწავლებოდეს საგნები, ხოლო სოფლად კი—ლათინურადაო.

ორატორთა ჩაწერვა მისპეს.

57 ორატორია ჩაწერილი.

ლეონოვი დაწვრილებით ეხება იმას, თუ არა-რუსთა სკოლებში, რომელს ენაზე უნდა ისწავლებოდეს საგნები. წესით შემოღებულია, რომ იმ ადგილებში, სადაც სცხოვრობენ პოლონელები, ლიტველები, გერმანელები, მუსულმანები, ესტონელები, ლატიშები, სომხები, ჩეხები და ქართველები, ისეთი სკოლა უნდა არსებობდეს, სადაც სწავლება დედა-ენაზე იწარმოებს, თუ კი იმ ადგილას, სადაც სკოლა არსებობს, ირგვლივ სამი ვერსის სივრცეზე მოიპოვება 15 ბავშვი, რომელთაც რუსული არ იციან და დასახელებულ ეროვნებათ ეკუთვნიანო. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა შესაფერ მასწავლებელთა მომზადება, რომელთა კუნდა იცოდნენ, როგორც რუსული, ისე ადგილობრივი ენები, უნდა მომზადდნენ, ადგილობრივ ენის მცოდნე, რუსი ინსპენქტორები, უნდა არა-რუსთა ენებზე გამოიცეს სახელმძღვანელო და სასწავლო წიგნები. ყველა ამ მისაზრების შემდეგ ოქტომბრისტები დარწმუნებულნი არიან, რომ ეს საშუალებანი მავნებელი კი არა, სასარგებლო იქნება თვით რუსულ ენისათვის, იგი განაპირა ქვეყნებში არ-კი შეასუსტებს რუსეთის სახელმწიფოებრივს აზრს, არამედ უფრო განამტკიცებს. (მარჯვნივ და ცენტრის ნაწილში სტვენა, ცენტრის უმრავლესობა და ოპოზიცია ტაშს უკრავს).

მინისტრის ამხანაგი გეორგიევსკი, მემარჯვენეთა და ნიციონალისტთა მოწონებით, ოქტომბრისტების წინადადების წინააღმდეგ ლაპარაკობს: სახელმწიფო წყობილებაში სწავლების ენას არსებითი მნიშვნელობა აქვს, ამაზეა დამყარებული რუსეთის მერმისი—რუსეთი მთლიანი და განუყოფელი დარჩება, თუ— არა?. მინისტრის ამხანაგს აუცილებლად მიაჩნია ის აზრი, რომ რუსეთში სკოლა რუსული უნდა იყოს და რუსის მასწავლებლები უნდა ასწავლიდნენ რუსულად. არა-რუსთა ინტერესების შესახებ ორატორი ამბობს, რომ არა-რუსთაც ხომ უნდა შეისწავლონ რუსული ენა, თორემ უამისოდ იგინი ვერ გაიზიარებენ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილს რუსულ კულტურას. პედაგოგიურის მხრივაც ცხადია, რომ ენას მხოლოდ მაშინ შეითვისებენ, როდესაც არამც თუ ისწავლიან რუსული ენას, არამედ რუსულად ფიქრსაც შეეჩვევიანო. სამინისტროს რედაქცია ამ საკითხს უკეთესადა სჭრის, ვიდრე კომისიისა. ამის და მიუხედავად, ორატორის აზრით, არა-რუსთა სკოლისათვის, როგორც სამინისტროს, ისე კომისის მხრივ, რაც კი შესაძლებელი იყო, გაკეთებულია და ამაზე მეტს კი ვეღარას მივცემთ, თუ გვსურს, რომ რუსეთში სკოლაც რუსული იყოს.

ბარიატინსკი. აღნიშნავს, რომ გარუსების ძველმა სისტემამ თავისი დრო მოიჭამა და მას მხოლოდ დაძველებული ნაციონალიზმი თუ გამოსარჩლება, ხოლო ამ გზით რუსეთის ხალხთან ვერავის შეადეგენო. ორატორის აზრით, თუ ისეთი სახელმწიფო სკოლა არ შეჰქმნეს, რომელიც მუსულმანთა მკვიდრთაც მიიზიდავს, ამითი სახელმწიფო არა-რუსთა განათლებას ხელიდან გაუშვებს. არა-რუსებში სახელმწიფო სიყვარული უნდა განამტკიცოთ, ხოლო ძველი ხრიკები უნდა დასთმოვო (მარცხნივ და ცენტრში ტაშის ცემა).

ეპისკოპოსი ევლოგი. ამბობს, რომ ასეთ წესების შემოღებით, არა-რუსთა რაიონებში რუსული სკოლა არა-რუსთა სკოლად გარდიქცევა, მაშინ როდესაც სახელმწიფო მოვალეა ყველა მშვიდობიანი ქვეშევრდომი ერები რუსეთის კულტურით აზიაროს. ამის იარაღად კი რუსული სკოლა და რუსეთის სახელმწიფო ენაა. საქმე გარუსებაში კი არ არის, არამედ იმაში, რომ ვისაც რუსული კულტურით სარგებლობა ჰსურს, მან მონაწილეობა უნდა მიიღოს იმ სახელმწიფოს საერთო მუშაობაში, რომელიც მისთვის სამშობლოდ გარდაიქცა. სახელმწიფოებრივ აზრის გავრცელებასა და განმტკიცებას სახელმწიფო ზურგს ვერ შეაქცევს. ორატორის აზრით, არა-რუსთა მშრომელი ხალხი რუსულ სკოლას არ გაურბის და თავის ბელადების აზრს არ მისდევს, იმ ბელადებისას, რომელთა ბაგეთაგან ისეთს სიტყვებს ვისმენთ, რაც გულსა გვტკენს, რადგანაც რუსულ სკოლას და რუსულს ენას ფეხ-ქვეშა სთელავენ. ეპისკოპოსი აღნიშნავს ყველა იმ სიკეთეს, რომელიც რუსეთს არა-რუსთათვის უზრუნვია და აღშფოთებულია, რომ ისინი მაინც რუსეთის სიწმინდეს ნერწყვით ავსებენო. ამ მოსაზრებით, ორატორი, ოქტომბრისტთა წინადადების ძირითადი მოწინააღმდეგეა და მომხრეა, რომ მოლოროსებსა და ბელოროს-კათოლიკეთ უფლება მიეცეთ თავის დედა-ენაზე ასწავლიდნენ სკოლებში. (მარჯვნივ და ცენტრის ნაწილში ტაშის ცემა).

ბაზილევიჩი. ოქტომბრისტების შესწორებას ემხრობა, და ამტკიცებს, რომ სკოლებში დედა-ენაზე სწავლების თავისუფლება უნდა დავწესოთო.

ბარონი მეიენდორფი გაახსენებს დეპუტატებს, რომ ყველა სასკოლო კანონები უფრო ხანგრძლივია, ვიდრე მათი დამადასტურებელი პოლიტიკური ძალნი; მუდმივი და ხშირი ცვალებადობა სასკოლო საქმისა, მხოლოდ გაუსწორებელ ვნებას მოიტანს. სადაო საკითხად, ამ შემთხვევაში არა-რუსთა სკოლაა: ოქტომბრისტების შესწორების მოწინააღმდეგენი ხან პოლიტიკურსა და ხან პედაგოგიურ მოსაზრებას ემყარებიან, მაგრამ ივიწყებენ, რომ სახალხო სკოლისა და სახელმწიფოს ინტერესთა დაკავშირების საკითხი მუდამ საგრძნობელი და სამძიმო საკითხია სახელმწიფოს შინაურ პოლიტიკაში. სოფლის მასწავლებლი საკანონმდებლო დაწესებულების მიერ შემუშავებულ კალაპოტში ვერ ჩამოყალიბდება. ისეთი მასწავლებელი, რომელმაც პროექტის პირველ მუხლში აღნიშნული ვალდებულება უნდა განახორციელოს, არ მოიპოვება არამც თუ არა-რუსთა, არამედ თვით რუსულ სკოლებშიაც. სახალხო სკოლის მასწავლებელთ თქვენ მიერ წამოყენებულ იდეალებით ვერ მოხიბლავთ. კანონის შემუშავების დროს გვერდი არ უნდა აუქციოთ იმ ძალას, რომლის საშუალებითაც გსურთ ცხოვრებაში დაკანონებულის განხორციელება. რუსის სკოლებისათვისაც არ მოგეპოვებათ საკმაო მასწავლებლები, თქვენ კი, ოცნებობთ, რომ არა-რუსთა სკოლებსაც მისთავაზოთ. ნუ გავიწყდებათ, რომ რუსეთი ეხლა ღრმა დილემას განიცდის: მისი სულიერი სიცოცხლის ლტოლვა ტოლსტოის უკიდურესობიდან ვოსტორგოვის უკიდურესობამდე მიდის. თქვენი სახალხო სკოლის მასწავლებელნი ვის ემხრობიან? გულუბრყვილებაა იმისი ფიქრი, ვითომ საკმარისი იყოს დაკანონება იმ მუხლისა, რომ „სახალხო სკოლა არა-რუსთა შორის რუსული უნდა იყოს“. ამ გზით რუსეთის სახელმწიფოებრივ სკოლის შექმნა შეუძლებელია. ამ საქმისათვის შესაფერ და საჭირო ხალხის საყოლად საჭიროა დრო, საჭიროა რუსის ხალხის ყველა კულტურულ და სულიერ ძალთა ამოქმედება. იქნება მიზნის მიღწევად ის მიგაჩნიათ, რომ თქვენს მსოფლ მხედველობას იცავთ? უმჯობესი არ იქნება, არ გააღიზიანოთ არა-რუსთა საღი და ჯანმრთელი ორგანიზმი? როდესაც მთლიანად აღიარებთ ფორმულას: „რუსეთში რევოლუციაა რუსული კი არა არა-რუსთა იყოვო, ამით უკმაყოფილოთა ბანაკისაკენ ისტუმრებთ არამც თუ სახელმწიფოს მოწინააღმდეგე ელემენტებს, არამედ აუარებელ ეროვნებათა, რომელთაც ეს სენი ჯერ არ მოსდებიათ. განაპირა ქვეყნებში მყოფი რუსი მასწავლებელი, თუნდაც ოპოზიციურის აზრებითაც არ იყოს განმსჭვალული, თვითონ თავისის პირადის არსით, არსებულ გარემოებათა კრიტიკის განხორციელებაზე ეკრძალებაო, და იმ ფრეში სოციალურ გაბრწნილების ელემენტები შეაქვს. გახსოვდეთ, რომ მოციქულებრივს მოვალეობას მხოლოდ ისეთ ადამიანს ანდობენ და აკისრებენ, რომელიც მოციქულებრივი მოწოდებითაა გამსჭვალული, ხოლო, როდესაც განაპირა ქვეყნებში გზავნით კაცს მხოლოდ მისთვის, რომ მასწავლებლობის მოწმობა აქვს, ეს—უბრალო კანცელარული წესია და სხვა არაფერი. თქვენის თვალსაზრისითაც რომ გადავხედოთ საქმეს, ვერ ვიტყვით, რომ რუსეთში ამ მხრივ ყველაფერი თავის რიგზე იყოს. გაიხსენეთ მეფე ალექსანდრე პირველის სიტყვები, როდესაც ზამთრის სასახლეს ცეცხლი წაეკიდა და ზიმინმა კი მოახსენა: „ყველაფერი თავის რიგზეაო“—მეფემ უპასუხა: „მიტრიალდი, სულელო!“ (საერთო სიცილი და თითქმის ყველა სკამებზე ტაშის ცემა). ვაი, თუ ისტორიამ ჩვენც ეს სიტყვები შემოგვითვალოს, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ მასწავლებელთა შემადგენლობას. რუსეთში მცხოვრები არა-რუსთა უმრავლესობა რუსეთის ინტერესთა წინააღმდეგ არაა ამხედრებული; ბევრი მათგანი, განსაკუთრებით პატარა ერები, მთელ თავის ძალღონეს საერთო შრომას ახმარებენ. ამ ერებს, ურუსეთოდ, არავითარი მერმისი არა აქვთ. ისეთი, ერებიცაა თავისის ფიზიოლოგიით განსხვავებული, რომელნიც რუსეთის ფარგლებში ყოფნას ვერ ურიგდებიან, მაგრამ მათი რიცხვი მეტად მცირეა და მათი საკითხები განსაკუთრებულია. რუსეთის სახელმწიფოებრივობა დაინტერესებულია, რომ არა-რუსთაგან მკვიდრი ქსოვილი დაამზადოს. ამისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ არა-რუსთა სკოლებში ისეთი მასწავლებლები დავტოვოთ, რომელნიც ადგილობრივ ორგანიზმთან დაახლოვებულნი და დაკავშირებულნი არიან, რადგანაც კიდეც მხოლოდ მათ ესმით და შეუძლიანთ მათს მიმართულებას უხელმძღვანელონ.

არა-რუსთა ორგანიზმში უფრო მეტს სახელმწიფოებრივ-აზრით განმსჭვალულ ხალხსა ნახავთ, ვიდრე დღეს ნამდვილ რუსთა სოფელში.

არა-რუსთა მკვიდრს ქსოვილზე უმჯობესია და ადვილიც რუსეთის მთლიანობისა და სიმტკიცის დამყარება, ვიდრე საოსტატო სემნარიებში კურს დამთავრებულ მასწავლებლებზე, მხოლოდ იმისგამო, რომ იგინი რუსები არიან. რუსეთის ნაციონალიზმისა და რუსეთის სახელმწიფოებრივობის საკითხი არც ისეთი უბრალო საკითხია, როგორცა გგონიათ. სხვა ქვეყნებში, თქვენ მიერ წამოყენებულ ნაციონალიზმის პოლიტიკას, ხელს უწყობს მოსახლეთა ეთნოგრაფიული ერთფეროვანება, რომელიც უცხო ენაზე მოლაპარაკე უმცირესობას ადვილად გასრესავს. თუ თქვენ ასეთ ომის გამოცხადებას აპირებთ, მოგეპოვებათ კი ისეთ მასწავლებელთა ლაშქარი, რომელიც ამ უკანასკნელ ბრძოლაში ელეოს გაიტანენ? პოლიტიკაში გრძნობაზე ხომ არ შეიძლები დამყარება: თუ თქვენი ნაციონალური მისწრაფება დღევანდელ დღის სინამდვილეს არ შეესაბამება, მაშინ თავის მიტყუების მეტი ხელთ არა შეგრჩებათ რა. თქვენი პატრიოტიზმის ბრმა თაყვანისცემა, სინდიკალისტთა ბრმა თაყვანისცემას მაგონებს დამონებულ პროლეტარიატის მიმართ. სინდიკალისტებმა ეხლა ინტელიგენტთა ყოველგვარი ბელადობა უკუ აგდეს და მასსის უკმაყოფილობაზე დამყარებულნი გაიძახიან: „ჩვენ რევოლუციას მოვახდენთ და ყველაფერი ჩინებულად მოეწყობაო“, თქვენ კი ამბობთ: „რუსის მოქალაქის ნაციონალურ ალღოს მივენდოთ, უთხრათ რომ ის უნდა პირველობდეს—და რუსეთის სახელმწიფოში ყველაფერი საუცხოოდ იქნებაო“. მაგრამ ეს ხომ პოლი-

ტიკა კი ჯერ,—თავის მოტყუებაა. დროა, თქვენი ძალღონე იმას შეალიოთ, რომ რუსეთის ხალხში ამოძრავდეს ისეთი ძალა, რომელიც კულტურულ განვითარებას თავისუფალ გზას მისცემს და ყოველ არაბუნებრივ ერთვნებათაც სულიერ ხელმძღვანელობას გაუწევს. მოახერხეთ ეს—და თქვენი საქმე გაჩარხულია.. ხოლო, თუ თქვენ რუსეთის საქმეს ვიწრო ფორმულებში შეხუთავთ, მხოლოდ თავის მოტყუება შეგრჩებათ ხელში. რუსეთის სახელმწიფო კეთილ საიმედო მოხელის იმედით ვერ განმტკიცდება, რადგანაც ის იმ დროამდე კეთილსაიმედო, სანამ ფულს აძლევენ, სანამ ძალა მის ხელთაა.

(ხანგრძლივი ტაშის ცემა ყველა სკამებზე).

მოლხენებელი ფონ ანრეპი. აღნიშნავს, რომ ეხლანდელ ნათქვამმა სიტყვამ თავისას გულწრფელობით და სამართლიანობით მთელი სათათბირო მოხიბლა, მაგრამ ორატორს ყველაფერში ვერ დავეთანხმებით. ქეშმარიტება ყოველთვის შუაშია, რუსული სკოლა სახელმწიფოებრივი უნდა იყოს—ეს ეჭვს გარეშეა. მაგრამ პირველ ოთხ წელიწადს სკოლებში სწავლება დედა-ენაზე იქნება, თუ რუსულ ენაზე—ამაი სახელმწიფო არაფერს დაჰკარგავს.

შემდეგი სხდომა ორშაბათს მოხდება.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 ნოემბერი.

საზღვარ-გარედ

ვენა. ავსტრიის დელეგაციამ დიდი ფული გადასდო ფლოტისთვის.

ლონდონი პოლიტიკური მდგომარეობა დიდს ინტერესს იწვევს. ოფიციალ გაზეთის ცნობებით, პარლამენტს 15 ნოემბრამდე დაითხოვენ.

ტოკიო. ბანკირების კრებას, ფინანსთა მინ ისტრმა კატაურამ განაცხადა,—იაპონიის ფინანსიურს მდგომარეობას ოპტიმისტურად ვუცქერიო. იაპონია პრინციპის გამო სესხს არ აიღებს, პირიქით, ყოველ წელს 50 მილიონს ვალს გაისტუმრებსო. მომავალი ბიუჯეტი ასეთია: ჩვეულებრივი შემოსავალი 491 მილიონი, საგანგებო—51 მილიონი. ხარჯი: ჩვეულებრივი—408 სილიონი, საგანგებო—134 მილიონი:

ლონდონი. ლორდთა პალატამ მიიღო როზბერის რეზოლიუცია ზედა პალატის რეფორმისა.

დენვერი. სახელოვანი ავიატორი რალფ ჯანსტონი 80 ფუტს სიმაღლიდან ჩამოვარდა და გარდაიცვალა.

სენ-ანტონიო. შეერთებულ შტატების საიდუმლო პოლიციამ აღმოაჩინა შეთქმულება მექსიკის პრეზიდენტის წინააღმდეგ. ზეგ ამბოხება უნდა მომხდარიყო. შეთქმულთ იარაღა შეერთებულ შტატებში შეუძენიათ.

ბერლინი. კუნძულ კორფუზე 60 ჯარის კაცმა სამსახურზე უარი განაცხადა. ვენიზელოსმა განკარგულება მოახდინა, ისინი დასასჯელად ათინაში მიჰგვაროონ.

რუსეთი

ლევ ტოლსტოის მდგომარეობა

ხმები ლევ ტოლსტოის გარდაცვალების შესახებ სიმართლეს მიკლებული აღმოჩნდა.

ოსტაპოვო. მიტროპოლიტმა ანტონიმ ტოლსტოის შემდეგის შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „იმ წამიდან, რაც თქვენ ეკკლესიას განშორდით, ღმერთს ვევედრებოდი და ვევედრები, რომ მან თქვენი თავი ეკკლესიას კვლავ დაუბრუნოს. შეიძლება მან ჩქარა დაგიძახოთ თქვენ სამსჯავროში. თქვენ, ავადმყოფს, ახლა გთხოვთ, შეურიგდეთ ეკკლესიას და მართლ-მადიდებელ რუსის ხალხს. ღმერთმა გაკურთხოს დი შეგანახოს თქვენ“.

ოსტაპოვო. ტოლსტოის ღამით არ ეძინა დილით ჩაეძინა. სიცხე 37,3; გულის ცემა კვლავ დასუსტებული აქვს, მაჯის ცემა—უკეთესი.

ოსტაპოვი. ტოლსტოისთვის მოსკოვიდან გამოიწვიეს ექიმები შუროვსკი და უსოვი. დიდი ჩოჩქოლია, მორჩენის იმედი კი არის. დილით ტოლსტოი აჩვენეს უფროსს ქალს ტატიანას.

ოსტაპოვო. 4 საათზე სიცხემ უკლო ტოლსტოის და პური სჭამა. ავადმყოფთან არის მისი ქალი—ტატიანა.

ახალი ამბები

ტფილისი

დეპუტატს ჩხეიძეს ბრალს სდებენ ყალბის საბუთების შეძენაში. შინაგან საქმეთა მინისტრს ბ. ა. სტოლიპინს პოლიციის დეპარტამენტის გზით ოფიციალური ქაღალდი გაუგზავნია სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ა. ი. გუჩკოვისათვის და უცნობებია, სასამართლოს გამოძიებამ შემდეგი ფაქტი გამოარკვიაო: ტფილისის გუბერნიიდან არჩეულმა დეპუტატმა, რომელიც თავის თავს ნიკოლოზ ჩხეიძეს უწოდებს, ისარგებლა თავის ძმის ნიკოლოზ ჩხეიძის სახელზე შედგენილ ყალბის საბუთებით და ამ საბუთების ძალით არჩეულ იქმნა სახელმწიფო სათათბიროში. ნამდვილად ის კარლო ჩხეიძეა და უკანონოდ ირქმევს ნიკოლოზს. კარლო ჩხეიძემ ისარგებლა არა მარტო საბუთებით, არამედ თავის ძმის ნიკოლოზის უფლებებითა და ცენზითაც. შემდეგ მინისტრი აღნიშნავს, რომ კარლო ჩხეიძის მიცემა პასუხისგებაში დაგვიანებულიაო და მხოლოდ სვამს კითხვას, შესაძლებელია თუ არა, რომ სახელმწიფო სათათბიროს წევრად იყოს ის კაცი, რომელიც იქ მოჰყვა ამგვარ გზით შეძენილ საბუთების ძალითაო.

ძნელი დასაჯერებელია ეს ამბავი. დარწმუნებული ვართ, სიმართლე ჩქარა გამოირკვევა.

ხმ. ვესელოვზოროვის განცხადება. როგორც მკითხველებმაც იციან, ტფ. ქალაქს საბჭოს დარბაზში ჩამოჰკიდეს ტფ. ქალაქის ყოფილ მოურავების სურათები. არ არის მხოლოდ სურათი ყოფილ მოურავის ქრისტეფორე ვერმიშევისა, რომლის სახელი და 29 აგვისტოს ქალაქს საბჭოში მომხდარი საზარელი ამბავი ერთთმანეთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ხმოსანმა ვესელოვზოროვმა ქალაქის გამგეობას განცხადება წარუდგინა და წინადადებას აძლევს, რომ სურათები საბჭოს დარბაზიდან გადატანილ იქმნას ქალაქის ჰუნიციპალურ მუზეუმში, რადგან დარბაზში ერთიც მცირე ადგილიაო და სხვა. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ეს საკითხი განსახილველად საბჭოს წარუდგინოს!.

მურომცევის პატივისცემისათვის. ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიიდან გამოურიცხავთ 7 მოსწავლე იმის გამო, რომ სასწავლებელში ფეხზე ადგომით პატივი უცია პირველ სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის მურომცევის ხსოვნისათვის. ამავე საქმის გამო, როგორც ამბობენ, იქაურ რეალურ სასწავლებლიდან გამოურიცხავთ 35 მოსწავლე.

ქართული წარმოდგენები სახალხო სახლში. სახალხო სახლის გამგე ქალაქის კომისიამ 5 ნოემბერს თავის კრებაზე მოიწვია ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა და სახალხო სახლში ქართულ წარმოდგენების მმართველი ახალის წრის წარმომადგენელნი და ქალაქის გამგეობის წევრნი. კრებამ დაადგინა, ქართულ წარმოდგენებების დღეების განაწილება ისევ დრამატიულ საზოგადოების ხელში დასტოვოს იმ პირობით კი, რომ ეს დღეები მან დაკუთმოს ახალ წრეს.

სოფ. მეტეხის მღვდლის მოკვლა. გორის მაზრის სოფელ მეტეხის მღვდელი ს. ბაიდამეილი, რომელიც 4 ნოემბერს გორის მახლობლად უცნობებმა დასჭრეს, უკვე გარდაიცვალა. როგორც გადმოგვცეს, მოკლულს ორი თავდამცემი უცვნია და სიკვდილამდე ქაღალდზე მოუსწრია მათის გვარების დაწერა.

საზოგადოება „განათლება“. მოვაგონებთ მკითხველთ, რომ დღეს სამეურნეო ბანკის სადგომში ქართველთა „განათლების“ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება მოხდება.

მღვდლის გძელიშვილის საქმე. 5 ნოემბერს ტფ. სასამართლო პალატამ გაარჩია საქმე სანთლის ქარხნის ყოფილის ზედამხედველის მღვდლის ვლადიმერ გძელიშვილისა, რომელსაც სანთლის ქარხნის ფულის (6.820 მან.) მითვისება ბრალდებოდა. ოლქის სასამართლომ, როგორც მკითხველთ იციან, მღვდელი გძელიშვილი სრულიად გაამართლა და ქართლ-კახეთის სინოდალურ კანტორის სამოქალაქო საჩივარი უყურადღებოდ დასტოვა. პალატაში ეს საქმე გადატანილ იქმნა პროკურორის მოთხოვნით. პალატამ მღვდელი გძელიშვილი დამნაშავედ იცნო ფულის მითვისებაში და გადაუწყვიტა ერთის წლით პატიმრობა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა და სასულიერო ხარისხისა და ზოგიერთ უფლების ჩამორთმევა. ამას გარდა გძელიშვილმა უნდა დააკმაყოფილოს ქართლ კახეთის სინოდალურ კანტორის სამოქალაქო საჩივარი.

არქიეპისკოპოსის სათუნიანის დასაფლავება. დღეს, 7 ნოემბერს, მიწას მიაბარებენ ტფ ეპარქიის უფროსის არქიეპისკოპოს გარეგინ სათუნიანის გვამს. სრულიად სომეხთა ქათალიკოსმა განკარგულება მოახდინა, რომ განსვენებული ვანქის ეკკლესიის გალავანში დასაფლავონ.

ტფ. ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიაში. ამ დღეებში კრება ჰქონდა ამ კომისიას და სხვათა შორის, განიხილა საკითხი ტფ. სახელოსნო სასწავლებლის ახალ შენობის აგების შესახებ. შენობის აგების პროექტი და გეგმა უკვე შედგენილი აქვს სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს ბ-ნ აკუნოვს. პროექტის განხილვა კომისიამ მიანდო საგანგებო მცირე კომისიას, რომელშიაც შედიან: ა. რ. ფიშერი, ინჟენერები ნეპრინცევი, ბარტი და აკუნოვი.

საათსაზოგის მოკვლის განზრახვა. როგორც მკითხველებმა იციან, ამ წლის 21 ივნისს თავის ბინაზე ძილის დროს ვინმე პაპელიანცმა ხანჯლით დასჭრა ტფილისის ქალაქის გამგეობის საქმის მწარმოებელი საათსაზოგი. ამ საქმის გამო პასუხის გებაში მისცეს დაჭრილის მეუღლე ნინა საათსაზოგისა, რომელმაც პაპელიანცი მოისყიდა ქმრის მოსაკლავად, თვით პაპელიანცი და ახალგაზრდა ქალი შაინიანცისა. ეს საქმე გაირჩა ტფ. ოლქის სასამართლოში 5 ნოემბერს და გუშინ სასამართლომ განაჩენი გამოაცხადა, რომლითაც ბრალდებულთ კატორგა გადაუწყვიტა: ნინო საათსაზოვისას—8 წლით, ხოლო შაინიანცისას და პაპელიანცს—ექვს-ექვსის წლით.

ფრენა. ავიატორი ქებურია უკვე შეუდგა თავის მონოპლანის შეკეთებას და 14 ნოემბერს გაფრინდება დიდუბის საჯირითო მოედანზე.

სომეხთა უძველეს არქიეპისკოპოსის გარდაცვალება. ამ დღეებში ეჩმიაძინშა გარდაცვლილა უძველესი არქიეპისკოპოსი გრიგოლ გარნაკერიანი.

სახალხო კითხვები. დღეს საექიმო საზოგადოების დარბაზში ქ-ნი ასათიანისა წაიკითხავს „ახალინძის ომს“, ავჭალის აუდიტორიაში ქ-ნი ბარნაბიშვილი წაიკითხავს „ბედნიერ პრინცს“, ნავთლუღში ქ-ნი კარბელაშვილი წაიკითხავს „იავნანა რა ჰქმნა“, ბუნდოვან სურათებსაც უჩვენებენ. დასაწყისი დილის 11 საათზე.

ახალი წიგნი. ჩვენ მოგვვიდა ახალი შრომა ჩვენი ახალგაზდა მეცნიერის ს. ავალიანის „Земскіе соборы“ (1) Исторі о графія земскихъ соборовъ, 2) о представительствѣ на земскихъ соборахъ XVI в. и начала XVII в.). წიგნი დიდ ფორმატისაა, ლამაზად და კარგად არის გამოცემული ოდესაში; ეხება ფრიად საინტერესო კითხვას რუსულ ისტორიისას და შეიცავს 220 გვერდზე მეტს. წიგნის შინაარსს მომავალში გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს.

ყაჩაღების მოკვლა. ს. ამაშუკეთიდან (შორაპნის მაზრა) გვწერენ: 28 ოქტომბერს ღამით ალექსი იოთამისძე ბახმაქაის სახლში მოვიდა 3 ან 4 ყაჩაღი 200 მანეთის წასართმევად, რომელიც მან ამ დღეებში აიღო ჭიათურაში.—ყაჩაღმა თოფი ესროლა ალექსის, რომელმაც სიკვდილი მოიგონა და თვითონ ყაჩაღი მისისავე ხანჯლით დასჭრა მუცელში; ყაჩაღის ამხანაგმა ამის შემდეგ თოფი ესროლა ალექსის. თოფი პირველი ყაჩაღს მოხვდა ძუძუს და იქვე მოკვდა, მეორე ამხანაგს ყაჩაღისას ალექსიმ ხანჯალი ჩაჰკრა მუცელში და ისიც მკვდარი ნახეს, 20 საჟენზედ წამოდებული. ვინ არიან მოკლულნი, არ იციან. ორი ვინტოვკა 112 პატრონით დაატოვებინეს.

წარსულ ოქტომბრის განმავლობაში ტფ ბოდიციას 37 ჯერ მოუხდენია ქალაქში სანერგოთ ჩრეკა-დაბტეხვა.

5 ნოემბერს ტროიცკის ქუჩაზე იპოვეს მდედრობით სქესის ბავშვი, დაახლოვებით 1 კვირისა და ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

5 ნოემბერს პოლიციამ ტფილისში ზეიპყრო 6 უპასპორტო.

თეატრი და ხელოვნება

მიმდინარე თვის რეპერტუარი. დღეს ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება ისტორიული დრამა ვას. ყიფიანისა **„სამეგრელოს მთავარი ლევანი“**, რომელშიც უმთავრეს როლებს შესასრულებენ: დარეჯანისას—ნ. დავითაშვილი, ლევანისას—ვლ. ალ. ჰესხიშვილი, პაატასი—კ. მესხი და არჩილისას—ი. ზარდალიშვილი. ნოემბრის განმავლობაში განზრახულია წარმოსადგენად ორი ორიგინალური პიესა: ერთი-ახალი-„ესხვერპლი“ ი. გედევანიშვილისა და მეორეც **„ხაბედიანწერო დამბაჩა“**, სამ მოქმედებიანი დრამა ტრ. რამიშვილისა. გარდა ამისა წარმოდგენილი იქნება **„მისს გობს, ანუ ქალის ჭკუა“** პირველად ახალი პიესა ჯერომ-ჯერომისა, და **„ორი ვნება“** ესეც ახალი პიესა ბატაილისა. ძველ პიესებიდან განახლებული იქნებიან **„ყაჩაღები“** შილერისა, **„ლალატი“** სუმბათაშვილისა, **„იმედის დაღუპვა“**—ჰეიერმანსისა, **„სატანა“**—გორდინისა და **„ნიშანი ყოფაქცევაში“** შეაიერისა განმეორებულ იქმნებიან. განზრახულია აგრეთვე წარმოსადგენად ნ. ჩხეიძის მონაწილეობით ცნობილი პიესა ზუდერმანისა **„ივანობის ღამე“**.

განცხადებანი

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოფიცინაში ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—220

ექიმი ნიკოლ ერისთავ ბათუმში

ხამუდრო სამგურნალოს ფრდინატფრი დებულობს და არჩენს შინაგან, ბავშვებისა და ნერვებით ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე 1—3 საათამდის ფილტვებით, კუჭით, ნაწლეგებით (ბავშვების ფაღარათით და ქარებით (რეგულატორით) ავადმყოფებს; ციებ-ცხელების დიაგნოზი ანალის მეტოდით, ხისლის და ნაწველის მიკროსკოპიული გამოკვლევა. ბათუმი ვლადიკავკაზის ქ. N 24.

(20—171—11)

გამოცდილი მასწავლებელი

განაგრძობს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლებისთვის: გიმნაზიისთვის, რეალურ, კომერციულ, ტექნიკურ, სამოქალაქო, საფერშლო, რკინის გზის და სასულიერო სასწავლებლებისთვის, ამზადებს ყველა ხარისხის ჩინზე. ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. მსურველს მიიღებს მთელ ხარჯზედაც—პანსიონში, რომელნიც არ იქნებიან აცილებულნი 15 წ. სწავლა მი მონაწილეობას მიიღებს სხვა მასწავლებლებიც).

მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათ. საღ. 5—8 საათამდე. მეცადინეობა იქნება ორ აღიგას: ვორონცოვის ძეგლის მახლობლად და ნახალოვკაში, ავჭალის ქუჩაზე, ვაგზლის პირდაპირ.

ადრესი: Авчальская ул. с. д. N 133, кв. 4. (въ Нахалонкѣ противъ вокзала).

(თ—152—14)

თეატრი ს. ა. გუკასოვისა

პუშკინის ქუჩა, სახლი სუნდუკიანცისა, მართლმადიდებელთა ძველის სემინარიის პირდაპირ

ტელეფონი № 395 ტელეფონი № 395



განუწყვეტლივ, ყოველ დღე მოგვდის ახალ-ახალი ზუთხი და **თართი**, ხიზილალა პარკისა, ქვირითისა და კოლოფებით. საუკეთესო ღორი და ზურგიელი და აგრეთვე ყოველგვარი თევზეული.

ფასები სინდისიერია. პატივისცემით ს. ა. **გუკასოვი.** (40—33—19)

ცენტრალური აზიური გუფეტი

პერ-ლივინო

ვორონცოვის მოედანზე, ვორონ-ცოვის ძეგლის პირდაპირ

საჭმელები ევროპიული და კავკასიური; ღვინოები კახური საუკეთესო ფირმებისა და სვირული—ბოთლი 25 კაპეიკიდან 1 მანეთამდე; მაგარი სასმელები რუსეთისა და საზღვარ-გარეთისა ზომიერ ფასებში; ყოველ-დღე ცოცხალი თევზი; ცალკე კაბინეტები; მოსამსახურენი სუფთა და მკვირცხლი.

ვაჭრობა ღამის 2 საათამდე

(20—160—7) ამხანაგობის გამგე **არხიპო ჭიჭინაძე.**

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობისა

სალიანის თევზის მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძეგველოვების მაღაზია

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

ახალ-ახალი ოსეტრინა (ზუთხი) **და სევრიუგა** (ტარანა).

ხიზილალა

ახალი, (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

და წითელი ხიზილალა (Кетовая). (წ.—128—25)

ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.

საოჯახო ნომრები ტფილისში

ქალაქის შუა ადგილი, ელისაბედის ქუჩა, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, სახლი **ძმ. მილოვისა № 1.** ოთახები ნათელი და მშრალი, თბილი კარიდორებით. მოსამსახურეთ ქალები და კაცები; განათებული ელექტრონით. ნომრები ორ-ორი ოთახებიდანაც არის.

ფასი: 60 კაპეიკიდან 2 მანეთამდე; თვეურებს დეკონომიზაცია.

(30—181—4) პატრონი ნომრებისა ს. მუმცელიძე.

ტანისამოსის მაკერავი

ი. ნ. სვანიძე

ტფილისი, ფოსტის ქ., სახლი ზუბალაშვილისა, № 6.

ამით აუწყებს თავის პატივცემულ შემკვეთებლებს, რომ სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მოხელეთა ფორმის ტანისამოსისათვის რუსეთისა და საზღვარ-გარეთის განსაკუთრებით სახელ-განთქმულ ფაბრიკებისაგან შეგიძლიან დიდ-ძალი მაუდეულობა. ყველა ტანისამოსი ჭკვიან გამოცდილი ხელოსნები

ჩემის ხელმძღვანელობით

ყველა დაკვეთილი ტანის მოსი იკერება სუფთად და კეთილ სინდისიერად. (20—127—9)

ხალეულობის, ხელოვნური მინერალური და სამკურნალო წყლები

ე. ლალიძისა და სმხ.

მზადდება მხოლოდ ბუნებრივ, ძვირფასად დაწმენდილ, ხილის წვნითა და საუკეთესო ხილეულის შარბათით, გამოხდილის წყლითა და წმინდა შაქრით

წყალი მზადდება გაუმჯობესებულ მანქანებით სპეციალისტის მუდმივის ხელმძღვანელობით.

წყლების კარგი ღირსებისათვის ქარხანა დაჯილდოებულია ოქროსა და ვერცხლის მედლით.

ქარხანა: ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე ტელეფ. № 411. ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე. (20—139—8)

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი ირაკლი სოგლულაშვილი.